

ეროვნული საბჭო

სტენოგრაფიული ანგარიში

44 სხდომა

პარასკევი, ოქტომბრის 4, 1918 წ. ტფილისი. სახანლე.

თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე. მდივნობს იოსებ აბაკელია.

პრეზიდიუმში არიან: თავმჯდომარის ამხანაგი იესე ბარათაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი.

კრება იხსნება ნაშუადღვის 12 ს' და 35 წუთზე.

თავმჯდომარე ვთხოვთ დაბრძანდეთ.

კრება გახსნილი გახლავთ (შდაყანს) ვთხოვთ წაიკითხოთ დღიური წეს-რიგი. (მდივანი კითხულობს):

ცნობა კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტებისა.

1. ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი გადასახდთა ინსპექტორის შტატების გაზრდებისა და ჯამაგირის მომატებისა. გადაეცეს საფინანსო კომისიას.

2. ფინანსთა მინისტრის კანონპროექტი ხაზინების მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. გადაეცეს საფინანსო კომისიას.

3. ფინანსთა მინისტრის კანონპროექტი სახაზინო პალატების და გადასახდთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს დაარსების შესახებ. გადაეცეს საფინანსო კომისიას.

4. ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი სათამბაქო ქალაქებზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების შესახებ. გადაეცეს საფინანსო კომისიას.

5. ფინანსთა მინისტრის კანონპროექტი. შაქარზე ერთდროულ გადასახდის დაწესების შესახებ. გადაეცეს საფინანსო კომისიას.

6. ფინანსთა მინისტრის კანონპროექტი გასართობზე შესასვლელ ბილეთების გადასახდის ხაზინის შესასვლელად ჩარიცხვისა. გადაეცეს საფინანსო კომისიას.

7. შინაგან საქმეთა მინისტრის კანონპროექტი შინაგან საქმეთა მინისტროს კანცელიარიის 1918 წ. ხარჯთაღრიცხვისა.

8. განათლების მინისტრის კანონპროექტი პირველ დაწყებითი სასწავლებლის გახსნის შესახებ. გადაეცეს საფინანსო და განათლების კომისიას.

9. განათლების მინისტრის კანონპროექტი უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის გახსნისა. გადაეცეს საფინანსო და განათლების კომისიას.



10. განათლების მინისტრის განიხიროქტა გურიის უმაღლესი სასწავლებლები სასწავლებლებისათვის ერთ დროულ დახმარების შესახებ.

გადაეცეს საფინანსო და განათლების კომისიას.

11. შიქარა მოქმედების მინისტრის განიხიროქტა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისათვის დახმარების მიცემის შესახებ.

გადაეცეს საფინანსო კომისიას.

11. შიქარა-მოქმედების მინისტრის განიხიროქტა სამინისტროს შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

გადაეცეს საფინანსო კომისიას.

დღიური წეს-რიგი:

1. საბოლოო ტექსტი დროებითი დამატებითი ჯამაგირის დაწესებისა ტფილისში არჩეულ ორ მომრიგებელ მოსამართლის, იმათ მდივანთა და თარჯიმანთათვის და დამატებითი ფულის მიცემისა საკანცელარიო ხარჯისათვის იმავე მოსამსახურეთა საქიროებისათვის. მომხსენებელია საბჭოს წევრი შალვა ამირეჯიბი.

2. საბოლოო ტექსტი კანონისა საქართველოს რესპუბლიკის დროშის პროექტის ხარჯისა მომხსენებელია საბჭოს წევრი შალვა ამირეჯიბი.

3. კანონ-პროექტი ეროვნულ საბჭოს სახელწოდების შეცვლის შესახებ. მომხსენებელია საბჭოს წევრი ზაფხუ საყვარელიძე.

4. კანონ-პროექტი 1909 წ. მარტის 18-ს კანონით დანიშნული პენსიათა და შემწეობათა გაუქმების შესახებ.

მომხსენებელია საბჭოს წევრი იესე ბარათაშვილი.

საბჭო წეს-რიგს უცვლელად ამტკიცებს.

საბოლოო ტექსტი კანონ-პროექტისა დროებითი ჯამაგირის დაწესებისა ტფილისში არჩეულ ორ მომრიგებელ მოსამართლის, მათ მდივანთა და თარჯიმანთათვის და დამატებითი ფულის მიცემა საკანცელარიო ხარჯისათვის იმავე მოსამსახურეთა ხარჯებისათვის.

თავმჯდომარე. საბჭოს წევრი შალვა ამირეჯიბი.

შალვა ამირეჯიბი. (კითხულობს). საბოლოო ტექსტი კანონისა: დროებით დამატებითი ჯამაგირის დაწესებისა ტფილისში არჩეულ ორ მომრიგებელ მოსამართლის, იმათ მდივანთა და თარჯიმანთათვის და დამატებით ფულის მიცემისა საკანცელარიო ხარჯისათვის იმავე მოსამსახურეთა საქიროებისათვის.

მუხლი 1 (კითხულობს).

1. მიეცეს დამატებითი ჯამაგირი ტფილისში ორ არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეს ექვსი თვისა, 1 მარტიდან 1 სექტემბრამდე, 1200 მან., ხოლო მათ მდივანებს და თარჯიმანებს 1150 მან.

ამ მუხლში შეფუძვალეთ სიტყვა არჩეული, — ამორჩეულათ; 1 მარტიდან — 1 სექტემბრამდის — შეფუძვალეთ მარტის 1-დან, — სექტემბრის პირველამდე.

მუხლი მეორე უცვლელად არის მიღებული.

მუხლი მე 3-მე. (კითხულობს).

3. ამა წლის 1 სექტემბრიდან აღნიშნულ მოსამართლეთ, მათ მდივანთა და თარჯიმანთ მიეცეს ჯამაგირათ და სხვა ხარჯებისათვის თანახმად 24 სექტემბრის კანონისა სამოსამართლო ინსტიტუტისა.



აქ კოტაოდენი ცვლილება არის სტილისტიური. მთელი **საბჭო** ასეა მიღებული:

ამა წლის სექტემბრის 1-დან აღნიშნულ მოსამართლეებს მათ მდივნებს და თარჯიმნებს მიეცეს ჯამაგირად და სხვა ხარჯებისათვის თანახმად სექტემბრის 24-ის კანონისა სამოსამართლო ინსტიტუტისათვის. მუხლი მე 4-ზე. (კითხულობს).

4. ტფილისში ორ არჩეულ მოპრიგებელ მოსამართლეს, მათ მდივანთა და თარჯიმანთა დროებითი დამატებითი ჯამაგირის განსატუმარებლად და აგრეთვე საკანცელარიო ხარჯის დასაფარავად დამატებით გაუხსნან აუსტიციის მინისტრს ამა 1918 წ. 1 მარტიდან, ვიდრე ავგისტოს 31-მდე კრედიტი თექვსმეტი ათას ექვსასი მანეთისა. (16600).

ამ მუხლში ჩვენ გამოვტოვეთ სიტყვა განახტუმრებლად, რომელიც საბჭოს ტექსტში არის მიღებული. დანარჩენი უცვლელა დავტოვეთ. (საბჭო ამტკიცებს კანონის საბოლოო ტექსტს).

საბოლოო ტექსტი კანონისა საქართველოს რესპუბლიკის დროშის პროექტის შედგენის ხარჯისა.

თავმჯდომარე. შემდეგი.

შალვა ამარჯუიძე. კანონი საქართველოს რესპუბლიკის დროშის პროექტის შედგენის ხარჯისა—სარედაქციო კომისიამ ასე შესცვალა. (კითხულობს). მიეცეს სახელმწიფოს ხაზინიდან მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს საქართველოს დროშის პროექტის შედგენისათვის განსაზღვრულ სამი ათასი (3000) მან. (საბჭო ამტკიცებს კანონის საბოლოო ტექსტს).

დებულება საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელწოდების შეცვლისა.

თავმჯდომარე. შემდეგი კანონი ეროვნულ საბჭოს სახელწოდების შეცვლისა. მომხსენებელია საბჭოს წევრი პავლე საყვარელიძე.

პავლე საყვარელიძე (აღიონელი) ბატონებო! ეს საკითხი სახელწოდებისა, მაინც და მაინც, დიდ პრინციპიალურ საკითხს არ შეადგენს, მაგრამ არა პრინციპიალურ საკითხებსაც, მე მგონია, ეროვნულმა საბჭომ დადებითი, სწორი და მიზანშეწონილი პასუხი უნდა გასცეს.

დიდი კითხვა არ არის ეს და არც გამოიწვევს დიდს დავიდარბახს. მაგრამ უთუოდ, კომისიის აზრით, პარლამენტს უნდა დაერქვას რამე სახელი რომელსაც აქვს განსამართლება ისტორიული, თანამდროვე იურიდიული და პოლიტიკური.

საქმე იმაში გახლავთ, რომ საკონსტიტუციო კომისიაში მრავალი წინადადება იყო წამოყენებული. ერთი უმთავრესი წინადადება იყო წინადადება სოციალდემოკრატიის, სადაც ხსენებული ფრაქცია თხოულობს, რომ საბჭოს, ეროვნულ საბჭოს დაერქვას **პარლამენტი**.

თი ასეთი წინადადება განიხილა საკონსტიტუციო კომისიამ, მერე განიხილა სხვა და სხვა წინადადებანი და დაადგა იმ გარდაწყვეტილებას, რომ ჩვენს საქართველო ეროვნულ საბჭოს უნდა დაერქვას **რესპუბლიკის დარბაზი**.

უნდა მოვახსენოთ, რომ საზოგადოდ მთელ დედა მიწის ზურგზე დღეს, სადაც კი არის დემოკრატიული წესწყობილება და პარლამენტი, სადაც კი არის პარლამენტარული წესწყობილება, პარლამენტს უწოდებ



ბენ, როგორც იცით, დღეს წარმოამდგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს წესებულებას. ასე, რომ დავარქვათ ჩვენს საბჭოს პარლამენტი, ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერი არ დავარქვათ. ეს იმას ნიშნავს დავარქვათ იგივე სახელი, რაც ყველა პარლამენტის სახელია, რაც არის სახელი წარმოამდგენლობითი საკანონმდებლო დაწესებულებისა. ყველგან, საკანონმდებლო წარმოამდგენლობით დაწესებულებას, ჰქვიათ პარლამენტი, მაგრამ ყველას ამის გარდა აქვს საკუთარი სახელი. ვერ ნახავთ დედამიწის ზურგზე მაგალითს, რომ პარლამენტი იყოს და პარლამენტს საკუთარი სახელი არ ჰქონდეს.

დედამიწის ზურგზე არ არის ასეთი მდგომარეობა. ავიღოთ ინგლისი, საფრანგეთი სხვა ქვეყნები. ყველგან პარლამენტს თავის სახელი ჰქვიათ. რეისტაგი, სეიმი, რიგსდაგი, ლორდთა პალატა, ქვედა პალატა, ზედა პალატა... ყველგან საკუთარი სახელი აქვს ასეთი მაგალითი არის შვეიცარიის პარლამენტი, რომელსაც მართო საბჭო კი არა ჰქვიათ არამედ ნაციონალური საბჭო. ნაციონალური საბჭო არის შვეიცარიის პარლამენტი. შვეიცარიის ნაციონალური საბჭოც, რომ მივართვით, — საფრანგეთის კონსტიტუციით, პარლამენტი იგივე დაწესებულებას ჰქვიათ, რომელიც პალატას გამოხატავს. ასე, რომ პარლამენტი ყველგან ჰქვიათ ყველა საპარლამენტო დაწესებულებას. არსად არ არის ქვეყანა, რომ პარლამენტს არ ერქვას საკუთარი სახელი. ამიტომ ჩვენ გამოჩაქოვსი არ უნდა შევადგინოთ.

ჩვენ წინადადებას ვამტყვებთ კრებას, რომ დავარქვათ საკუთარი სახელი. პარლამენტი თავის თავად, არის, მაგრამ საქართველოს პარლამენტს უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელი. პარლამენტს, რომ პარლამენტი დავარქვათ, ეს არაფერს არ ნიშნავს. მესმის, რომ სიტყვა პარლამენტი რასმეს გამოხატავდეს, ჩვენ ვიცით პარლამენტს ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყნებში. ჩვენ ვიცით პარლამენტი, არა დემოკრატიულ ქვეყნებში, ჩვენ ვიცით, მაგალითად რეისტაგი, რომელიც ნამდვილი პარლამენტი არ არის. რეისტაგი არის პარლამენტი, მაგრამ ნამდვილ პარლამენტარიზმის წესწყობილება არ არის. ამიტომ თვითონ პარლამენტი არ ამოსწურავს შინაარსს წესწყობილებისას. აქ კი შინაარსი არ არის და კიდევ მეტიც არის უპარლამენტარიზმით პარლამენტი, არის პარლამენტი, სადაც დემოკრატიული მნიშვნელობა მას არ ეძლევა. აი მაგალითად შვეიცის პარლამენტი არ არის ნამდვილი პარლამენტი. შვეიცის პარლამენტი საკანონმდებლო დაწესებულება არ არის. პარლამენტი კანონებს წარმოადგენს, მაგრამ ეს კანონები ხალხმა უნდა დამტკიცოს რეფერენდუმით.

არის ნამდვილი დემოკრატიული ქვეყნები, სადაც პარლამენტს ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; არის პარლამენტი, სადაც სათათბირო მნიშვნელობა აქვს. არის იმისთანა ქვეყანა, სადაც პარლამენტი არის მართო დამხმარებელი კანონებისა და ხალხი ამ კანონებს ამტკიცებს. არის ისეთი ქვეყნები, სადაც პარლამენტი ნამდვილ პარლამენტარულ წესწყობილებისათვის იბრძვის. აი, მაგალითად გერმანია. დღევანდელ ტელეგრაფში... გუშინ იყო ტელეგრაფი, რომ გერმანიაში არის მოძრაობა, რომ ნამდვილი პარლამენტარული წესწყობილება შეიქნასო.

თუ შინაარს გადავხედავთ ჩვენ, ჩვენს საბჭოსაც ვერ დავარქმევთ პარლამენტს. მაშასადამე, ეს მეორე მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩვენ საბჭოს ვერ დავარქმევთ პარლამენტს.



როგორც მოგუხსენებათ, ყველა ქვეყნებში პარლამენტს თავისი კუთარი სახელი აქვს; ამიტომ საქართველო არ უნდა იყოს გამონაკლისი. ჩვენ ამისათვის გვაქვს ისტორიული, პოლიტიკური და იურიდიული საბუთი.

ამ წიარად ჩვენ უარვყოფთ ამ წინადადებას, რომელიც ლაპარაკობს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაეარქვათ პარლამენტი. საქართველოს პარლამენტი ეს თავის თავად იქნება. შეიძლება ეს პარლამენტი არ იყოს ისეთი, როგორც შვეიცარიაში; შეიძლება, როგორც შვეიცარიაში, აქაც ხალხის რეფერენდუმში იყოს საჭირო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს იქნება ჩვენი პარლამენტი და პარლამენტს უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელი, როგორც ყველა კუთხეებში, ყველა ქვეყნებში.

არის, როგორც იცით, მრავალი სახელი წამოყენებული, თუ რა დაეარქვათ. მაგალითად, პირველი არის პარლამენტი, მეორე არის აზრი საზოგადო. ეს — „საბჭო“. მესამე არის „პალატა“. „კრებული“, კრება „სათათბირო“ და „დარბაზი“.

ჩვენ რა დაეარქვათ? რომ დაეარქვათ „საქართველოს ეროვნული საბჭო“ — ეს არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენი პარლამენტი არის გამომხატველი ჩვენი სახელმწიფოებრივი ტერიტორიისა. ამიტომ ეროვნული სახელი აქ არ შეესაბამება, და მიუღებელია ჩვენი პარლამენტისათვის, რადგან ჩვენი პარლამენტი არ არის შარტო. ჩვენი ხალხისთვის, არამედ მთელი საქართველოს ხალხისათვისა — მიუხედავად სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სხვა. მაშასადამე ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ეროვნულ ელემენტს არ შეიცავს და ამიტომ არ უნდა დაეარქვათ ისეთი სახელი, რომელიც არ იქნება შესაბამისი დღევანდელ მდგომარეობასთან.

ჩვენი პარლამენტი, როგორც იცით, იქნება და არის წარმომადგენელი მთელი საქართველოს ხალხისა. ამიტომ ის წინადადება, რომ დაეარქვათ პარლამენტს „საქართველოს ეროვნული საბჭო“ — უნდა უარყოფილ იქნეს.

„პარლამენტის“ წინააღმდეგ წედან მოვახსენეთ. არის კიდევ შემდეგი განსაზღვრა: — როგორც წინეთ ეძახდნენ ისე დარჩეს — „საქართველოს ეროვნული საბჭო“ — ი: ეს უნდა უარვყოთ. მეორენი ამბობენ დაეარქვათ პარლამენტს: „ნაციონალური საბჭო“, „სახალხო“, „საერო“ საბჭო. „სახელმწიფოს წარმომადგენელთა საბჭო“. „პალატა“, „საქართველოს პალატა“, „ხალხის წარმომადგენელთა პალატა“. „დეპუტატთა პალატა“, „საერო სახელმწიფო პალატა“, „სახალხო კრებული“, „საერო ყველა წარმომადგენელთა კრებული“, „ჩრეულთა კრებული“, „წარმომადგენელთა კრებული“. შერე „სახალღე“, სახალღის მომხრეც არის. ჩვენი საზოგადო საკანონმდებლო სახალღე, სათათბირო“. როგორც ოქმებიდან სჩანს არის წარმოდგენილი ამ რამდენიმე ხნის წინად გიორგი გვაზავას მიერ, „დარბაზი“. კომისიამ მიიღო „დარბაზი“ ერთხმად.


საინტერესო არის, ერთი რამ ბატონებო, რომ ხალხის უმრავლესობის ფრაქციამ უკვე გამოარკვია ეს საკითხი. ფრაქციებიც ამ საკითხში დღეს დღეობით უკვე გამოარკვეულნი არიან და როგორც ვიცით უმრავლესობის ფრაქცია სრულიად ეწინააღმდეგება „დარბაზს“. წარმომადგენლები კომისიაში თითქმის ერთხმად, თითქმის კი არა, ყველანი მომხრე იყვნენ „დარბაზისა“. დარბაზის შესახებ თითქმის სრული შეთანხმება და სოლიდარობა იყო. განსხვავება იყო, მხოლოდ სიტყვა



სახელმწიფოს შესახებ. უმცირესობამ წარმოადგინა — „წარმომადგენელთა დარბაზი“, ხაერო დარბაზი“, „სახელმწიფოს დარბაზი“. უმცირესობამ კი მიიღო „რესპუბლიკის დარბაზი“. მე ვიცი, შეიძლება ეს არ გავიდეს, მაგრამ შე მაინც შევეცდები დავიცვა „დარბაზი“, როგორც სახელწოდება ჩვენი პარლამენტისა.

ამ სახელწოდებებში ჩემის აზრით მისაღებია ყველაზე უფრო საში: „პალატა“, „საბჭო“, „დარბაზი“. დარბაზი იგივე პალატაა. ქართული ისტორია, იურისპრუდენციის ამტკიცებს, რომ დარბაზი არის იგივე პალატა. ასე რომ, შეგვიძლიან ჩვენ ისტორიის მიხედვით უწოდოთ დარბაზი“. შეგვიძლიან აგრეთვე — „პალატა“. ოღონდ ჩვენ მივჯანჩია დარბაზი უფრო საუკეთესო სახელწოდებად.

ბატონებო! დარბაზს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში. მე, უნდა მოგახსენოთ, რომ კომისიის წევრები მართლა თანახმანი არიან სრულიად უარპყონ ტრადიცია, რომელიც მანუა ხალხისათვის, მაგრამ ის ტრადიცია, რომელიც არ არის მანუე ხალხისათვის, და პირ იქით ხელს უწყობს განვითარებას და თვით შემეცნებას და გონებრივ წინსვლას — სრულებით არ უნდა იქნეს უარპყოფილი. ასეთი მავალითა, მრავალი სიტყვა; ასეთთა ნამდვილი ქართული სიტყვა, რომელსაც ვაძლევთ იურიდიულ პოლიტიკურ შინაარს. ასეთი სიტყვა არის დაბაზა. დარბაზი არის გამომხატველი იმ მცნებისა, რა მცნების გამომხატველიც არის პარლამენტი. როდესაც დაიბადა იგი ე. ი. შეფეებმა დაუძახეს რჩეულ ადამიანებს, რჩეულ კაცებს; მოწვეული იყო თათბირი, სახელმწიფო თათბირი. ასე იყო წარმომავალი პარლამენტი. ვინც კი უბრალო კითხვა იცის, იგი დამეთანხმება, რომ პირველი მეფის მოწვეული დიდებულთა კრებას დაერქვა პარლამენტი, კანონმდებლობის კრება, რომელიც იყო საფრანგეთის შეფეების დროს. ეს გამოხატავს იგივე მცნებას, როგორსაც დარბაზი, დარბაზის შექმნაში უმთავრესად ხელმძღვანელობდნენ იმითი, რომ მოწინავე ჩარეული პირნი მთელი სახელმწიფოს უდიდესი კაცები შეიკრიბებოდნენ განსაკუთრებულ ოთახებში, განსაკუთრებულ პალატებში, რომ ემსჯელნათ სახელმწიფო საქმეების შესახებ. აი დარბაზი სწორედ ეს არის. რა არის დარბაზი? როდესაც ვებასებოდით ჩვენს ისტორიკოსებს, პროფესორებს, მეცნიერებს, — ისინი პირდაპირ ლაპარაკობენ — დარბაზი არის უდიდესი პალატა მთელი სასახლესი, სადაც იკრიბებიან რჩეულნი ადამიანები და პირები მთელი სახელმწიფოს საქმის გადასაწყვეტად. გარდა ისტორიისა, ბატონებო, ისტორია ჩვენი უფლებებისა, ლექსიკოგრაფია, ლაპარაკობს, იმას, რომ დარბაზი არის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრივობის გამომხატველი სახელი. პირდაპირ სწერია: სახელმწიფოებრივობის გამოჩინების სახელი. ჩვენი ისტორია ამ სიტყვას არ უარყოფს. ისტორია ამ სიტყვის მომხრე არის. უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაზე უფრო კარგი სახელი პარლამენტისა არის ის, რომელიც საკუთრებათ რჩება ყველა ერისათვისთვის. მაგალითად სამქო რომ დავარქვათ, ყველა ერთი თვის ენაზე გადასთარგმნის — რუსული „СОВЕТЪ“, ფრანგული — Conseil და სხვა. თუ დავარქვით დარბაზი ამას სხვა ენაზე ვერ დავინახავთ. დარბაზი მართა საქართველოს პარლამენტი იქნება. აი მაგალითად რეისსტატი. სადაც გინდათ სიტყვით — ყველამ იცის, რომ ის არის გერმანიაში. განსხვავება არის არ ითარგმნება.



მეორე კიდევ, ბატონებო! განსაკუთრებულად ამ სახელის ქაქიქანულ გებლოდ დაპარაკობს მისი შნო. შნო ამ სახელწოდებისა სულ სხვაგვარად სულ სხვა არის დარბაზი. დარბაზი, რუსები რომ იტყვიან — „Длиная комната“, შნოიანი სიტყვაა, კარგი სიტყვა და მე მგონია ამ მხრივ ყველაზე უფრო მისაღებია და მისახვედრი.

გარდა ამისა, არ უნდა დაივიწყოთ, რომ ჩვენ შეიძლება პარლამენტარული წესწყობილება არ გვექნება. თუ არ ვცდები, ჩვენმა მთავრობის თავმჯდომარემ, შესანიშნავმა პუბლიცისტმა, ცალკე ლექცია, რეფერატი წაიკითხა და იქ სრულიად უარყოფს ჩვენს მომავალ პარლამენტარულ წესწყობილებას. (ხმა: „სუსტი საბუთია“) მან გაარკვია მომავალი ჩვენი წესწყობილება და უარპყო პარლამენტარიზმი. მე არ ვღაპარაკობ, რატომ უარპყო პარლამენტარიზმი. თუ მოვესწარით თავისუფალ, ნამდვილ ნორმალურ განვითარებას აუცილებლად ჩვენი გზი ნამდვილი დემოკრატიული იქნება, სადაც პარლამენტს კი არა აქვს სრული გადამწყვეტი ხმა. არამედ ხალხს. ასე რომ წინასწარ პარლამენტი რომ დაეარქვათ — ეს იქნება ფიქსაცია, ერთგვარი ფიქსაცია, რომ ეს მართლა პარლამენტი უნდა იყოს. ჩვენ ამას დიდ შინაშენლებას ვაძლევთ.

რატომ ებრძვიან დარბაზს. უნდა მოვახსენოთ უპირველეს ყოვლისა ებრძვიან იმიტომ, რომ ეს სიტყვა უცხო სიტყვააო, თითქოს პარლამენტი კი ჩვენი ენაა. მაგრამ დარბაზი არის ნამდვილი ქართული სიტყვა, მხოლოდ წარმოშობილი ოდესღაც სპარსულიდან. რამდენი სიტყვა ასეთი სპარსულიდან შემოსული რომელიც გადაქცეული არის ნამდვილ ქართულად?

დარბაზი, სადარბაზო, დარბაზობა წმინდა ქართული სიტყვებია. თუნდაც რომ ეს უცხო სიტყვები იყოს, განა გადასვდებია? ერთი რომ ეს არ არის უცხო სიტყვა. ეს წარმოშობილია უცხო სიტყვიდან, მაგრამ დღეს შესისხლხორცებული და შეთვისებული ჩვენ მიერ. დარბაზს ხმარობენ ყველგან დაწყებული შოთა რუსთაველიდან, სადაც ნათქვამია „დარბაზს შევიდნენ მოყმენი“, — ჩვენამდის. რომ ვსთქვათ ეს სიტყვა უცხო სიტყვააო, ეს საბუთი არ ვარჯა. თვით პარლამენტი უფრო უცხო სიტყვაა.

მეორე კიდევ: ზოგიერთი ამბობენ, რომ დარბაზი ეს უბრალო ოთახს ნიშნავსო. დარბაზი დიდ ოთახს ნიშნავს. მაგალითად პალატას ნიშნავს? დეპუტატთა პალატა — *Chambre de députés*...

შვეიცარიაში რომ გაივლი ყველგან ქუჩაში ნახათ — *chambre à louer* — ოთახი ქირავდებაო. მაგრამ იმავე დროს დეპუტატთა კრებულს ჰქვიან *Chambre de députés*. იმიტომ, რომ ეს სიტყვა ნიშნავს ოთახს, დეპუტატთა პალატას ვერ უარ ვყოფთ — *Chambre de députés*, *Chambre* ოთახს ნიშნავს. ეს დამამკირებელი სახელი არ არსს. მართლა რომ ყოველთვის, ყველგან პალატის, პარლამენტის, და ყოველივე საკანონმდებლო დაწესებულების სახელწოდება ნიშნავს ოთახს, პალატას. რა თქმა უნდა, არის მეორე გამომსახველი, მაგალითად კრებული, საბჭო. შენობის გამომსახველი ის არ არის, მაგრამ თუ აიღებთ პალატას, პარლამენტს — ეს ნიშნავს აუცილებლად განსაკუთრებულ ადგილს, სადაც არის ბჭობა და მსჯელობა სახელმწიფო საქმიების შესახებ. ზოგიერთი ამბობს, ეს გავიგონე ფედერალისტების წარმომად-



გენლებისგან — დარბაზი რომ დავარქვით ამას მონარქიზმის ქვეყნულად
 სო. ბატონებო, თუ მონარქიზმის სუნი უღის, მაგალითად დარბაზი მუქ
 შგონი ასეთივე სუნი უღის პარლამენტს. მართალია, დარბაზი შექმნი-
 ლია მაშინ, როდესაც მეფეები იყვნენ, მაგრამ პარლამენტიც შექმნი-
 ლია მაშინ, როდესაც მეფეები იყვნენ ევროპაში. აუცილებლად ერთი
 მეორეს უღრის. მონარქიზმი აქ არაფერ შუაშია. ბატონებო პალატის
 დაარქმევით თუ კრებულს, პალატას, თუ საბჭოს, ჩვენ არ ჩაუდგამთ
 მონარქიულ სულს, ჩვენ ჩაუდგამთ დემოკრატიულ სულს. დარბაზი რომ
 მივიღოთ ეს არც დამამკორფოელი და არც მავნე ტრადიციაა, არამედ
 შესანიშნავი, ნამდვილი სიტყვა დემოკრატიულ წეს წყობილებისათვის.

დარბაზის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ ხალხმა არ იცის დარ-
 ბაზი, რომ დარბაზი პოპულიარული არ არის, მაგრამ უნდა ვსთქვა,
 რომ ხალხში პოპულიარული არ არის არც პარლამენტი. თუ იტყვიან,
 რომ დარბაზი პოპულიარული არ არის ხალხისთვის და ამიტომ უნდა
 უარყუთოთ, მაშინ არც პარლამენტი არის პოპულიარული და იგიც
 უარსაყოფი იქნება. მაგრამ მე ვიტყვი, რომ ჩვენმა ხალხმა იცის რა
 არის დარბაზი, მაგრამ არ იცის, რომ ეს იქნება საკანონმდებლო დაწეს-
 სებულება, და ჩვენ უნდა გავაგებინოთ, რომ ჩვენს საკანონმდებლო
 დაწესებულებას, პარლამენტს, ჰქვიან მეორე სახელი, შინაური სახელი
 - დარბაზი“.

ზოგნი ამბობენ, რომ ჩვენ უნდა გამოვანახოთ ისეთი სახელი, რო-
 მელიც ინტერნაციონალურ მცენებას გამოხატავს, რომელიც ყველასთვის
 ცნობილი არის. ამ გზით, რომ იაროს დემოკრატიამ მაშინ ევროპაში
 პარლამენტის მთელი სახელწოდებანი გადასხვაგვარებული უნდა იყოს.
 მაშინ გერმანიაში რეიხსტაგი არ უნდა ყოფილიყო, რიქსტაგი — შვე-
 ციაში, სეიმი — დანიაში და სხვა და სხვა. ინტერნაციონალი იმით არ
 დამყარდება, რომ ჩვენს პარლამენტს ინტერნაციონალურ სახელს და-
 ვარქმევთ. პარლამენტისთვის თავად არის პარლამენტი. ჩვენთვის საინ-
 ტერესოა, ის, რომ ჩვენს პარლამენტში, ჩვენს დარბაზში გავატარებთ
 ნამდვილ დემოკრატიულ პოლიტიკას, ნამდვილ დემოკრატიულ წესწყო-
 ბილებას დავაყარებთ. ეს იქნება ნამდვილი საბუთი, რომ ჩვენ ვღგვ-
 ვართ ინტერნაციონალურ ნიადაგზე. ინტერნაციონალური საქმე კეთ-
 დება. მაგრამ ამით გკოდინებთ ყველას, რომ ჩვენ ინტერნაციონალურ
 კოსმოპოლიტიკები კი არა ვართ, ჩვენ ვართ ქართველი ინტერნაცი-
 იონალისტები, განსხვავება გვაქვს ეროვნული. მგელი ებლანდელი ის-
 ტორია და ფილოსოფია იმაში მდომარეობს, რომ ჩვენ ინტერნაციო-
 ნალისტები უნდა ვიყვნეთ, მაგრამ ეროვნულ ნიადაგზე მდგარი. ჩვენ
 ევროპიელნი ვართ ეროვნულ ნიადაგზე, ქართველები ვართ, მაგრამ
 ევროპიულ შინაარსით უნდა ვაწარმოვოთ ჩვენი წესწყობილება.

ბატონებო! მე მოგახსენებთ რეზიუმეს აი ამ ჩემ პატარა მოხსენე-
 ბისას, ჩვენი პარლამენტი, წინანდელი ეროვნული საბჭოს არ ვარგა,
 არ გამოხატავს დღევანდელ მდგომარეობას, ეროვნული საბჭო არ ხა-
 ტავს, მთელი ხალხის წარმომადგენლობას. ეს უდავოა.

პარლამენტს ვერ დავარქმევთ, იმიტომ, რომ პარლამენტი თავის
 თავად არის სახელი ყველა ამ გვარ დაწესებულებებისა საქიროა ქართულ
 პარლამენტს კიდევ ერთი საკუთარი სახელი ჰქვიან.

მე როგორც კომისიის წევრი მომხრე ვიქნები იმის, რა სახელწო-
 დებაც გინდათ დარქვით, ოღონდ პარლამენტს ნუ დავარქმევთ, თუ



პარლამენტს დაარქმევთ, ეს იქნება სიკოტრე პოლიტიკურ დამოუკიდებლობის
 დიული ტერმინოლოგიისა რაც გინდა დაარქვით პარლამენტს დაარქმევთ
 იყოს ეს პალატა კრებული სასახლე, დარბაზი, სათათბირო დარბაზი.
 კომისია, რასაკვირველია, დარბაზის წინადადებას იძლევა.

გარდა ამისა ვიცით; რომ პარლამენტში სხვა და სხვაობა არის.
 პარლამენტი ერთი და იგივე მქნების გამოშვატეული არ არის: პარლამენტი
 მენტიში ბევრნაირ შინაარსს უნდავთ. პარლამენტი არის დემოკრატიუ-
 ლი, არის მონარქიული.

აი, ბატონებო, ერთი მოსაზრება, რომელიც მე ერთ ფრაქციის
 ცენტრალურ ორგანოში „შრომაში“ ამოვიკითხე იქ იყო ლაპარაკი,
 რომ საბჭოს დაეარქვათ „საქართველოს სახალხო საბჭო“.

მე მგონია, საბჭო მისაღებია. იმ შევიცარიის პარლამენტში ერთი
 განყოფილებაა, რომელსაც ჰქვია ნაციონალური საბჭო, შევი-
 ცარია დემოკრატიულია აღზათ იმით არაფერს არ აგებს. მაშასადამე
 ჩვენ უნდა დაეარქვათ სახალხო საბჭო. მე მახსოვს ირაკლი წერეთელი,
 რომელიც გამოვიდა ერთ კრებაზე და გაილაშქრა ამის წინააღმდეგ,
 იმიტომ რომ ბევრი ეროვნული საბჭო გვაქვს, ყველამ საბჭოები შექ-
 მნეს—მუშათა დემუტატთა საბჭო, სალდათთა საბჭო, გლეხთა საბჭო,
 პროფესიონალურ ორგანიზაციების საბჭო, სასურსათო საბჭო, ჩვენ
 ნამეტანი ბევრი საბჭოები გვაქვს, ისე რომ ხალხს ერევა, არ არის გა-
 მოკვეთილი ერთი სახელი. რომელიც თავის თავად დაჟვარავს და ნა-
 დილი მიკუთნებული სახელი ექნება ამ ჩვენს დაწესებულებას. გარდა
 ამისა „შრომაში“—ს იმავე ნომერში სწერია, დარბაზი არ ვარგა იმატომ
 რომ არის მაგალითად—სადარბაზო ბარათი, დარბაზობა და ბევრი ამისთანა.
 ისინი ამასთან იმავე პროექტს იძლევიან, რომ იყოს საბჭო. მაგრამ მათ
 ავიწყდებათ, რომ პარლამენტი APRIOR უნდა შეიქმნება ითქვას, რომ ამ
 საღამოზე 15 საბჭოს ექნება სხდომა. იმაზე ლაპარაკი, რომ ერთი
 დარბაზის 16 სხდომა არის—უფრო ძლიერი არგუმენტი ექნება სახელ-
 მწიფოებრივ დაწესებულებებისკენ. საბჭოს უადგილო—ადგილზე ყვე-
 ხმარობს. საბჭო კონკურენტისა ვერ გაუწევს დარბაზს. საბჭო უფრო
 ზოგადი სახელია და დარბაზი კი გამოხატავს ჩვენს ისტორიას, დარბაზი
 უფრო სახელმწიფოებრივ აზრს გამოხატავს, სახელმწიფოებრივ გამო-
 ჩინებას.

ამოიჩრით სახელი, დიდი პალატა, თუ გნებავთ უწოდეთ საქარ-
 თველოს დარბაზი, ან და რესპუბლიკის დარბაზი ან პალატა—ერთი და
 იგივე არის. დარბაზი იგივე პალატაა. ევროპაში მიღებულია პალატა.
 ქართულ ისტორიაში ძველად მიღებული და ცნობილი არის ეს სიტყვა.
 მაგრამ განსხვავება არის. დარბაზი იგივე პალატა არის, მაგრამ დარბაზი
 ყველაზე უდიდესი პალატაა. რომ დაეარქვათ პალატა შეიძლება წარმო-
 იდგინოთ პატარა პალატა, პატარა დარბაზი. დარბაზი მქცნიერულად
 გულისხმობს, მივითითებთ ჯავახიშვილის მქცნიერულ შრომაზე, ნიშნავს
 გამოჩენილ პალატას; დარბაზი, რომელიც არის სასახლეში, უდიდესი
 პალატაა.

აი ასეთი საბუთი აქვს დარბაზს აა, მე მგონია, დარბაზი მი-
 საღები არის და საუკეთესო სახელწოდებას გამოხატავს ჩვენი პარლამენ-
 ტისას. პარლამენტი თავის თავად, მაგრამ რესპუბლიკის დარბაზი
 უფრო შესაფერებელია.

ბატონებო, კიდევ გავიმეორებ, ჩვენი წინადადებაა, რაც გინდა წი-



ნადადება მიიღეთ, მხოლოდ რომ დავარქვათ საქართველოს პარლამენტი, მე მგონია ნამეტანი შეკვეცილი იქნება საქართველოს შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს იმ ხალხზე, რომელსაც ესმის რაშია საქმე და საერთაშორისო ურთიერთობა. ჩვენ საკუთარი სახელი გვინდა. რესპუბლიკის დარბაზი — ეს არის კომისიის წინადადება. მე მგონია, თუ ამას მივიღებთ, ჩვენ ნამდვილ სწორედ გზას და სწორ პოლიტიკას მივიღებთ.

თავმჯდომარე სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს — ლომთათიძეს.

ალ. ლომთათიძე. (ს. დ.) ბატონებო, მე მგონია, რომ ამოდენა ლაპარაკი სულ მეტი იყო.

ძალიან ეცადა მომხსენებელი დაემტკიცებინა, რომ სახელი პარლამენტი არ ვარა, რომ ყველას სჯობია დაწახა. მაგრამ რაც უფრო მეტი ეცადა ეს დაემტკიცებინა, ჩემზე, პირადათ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სწორედ ეს სიტყვა „დაწახა“ არ უნდა მივიღოთ. რატომ, ბატონებო, რისთვის, იმისთვის, რომ სახელმწიფოებრივობა გამოისახება? არ ვიცი, იქნება იმ კომისიის წევრისათვის, რომელმაც შეიმუშავა ეს კანონპროექტი — გასაგებია, მაგრამ, სანამდღეს დავდებ თქვენ წინაშე, რომ 100 კაცში 2 კაცმა თუ იცის ეს სიტყვა ისე, როგორც პ. საყვარელიძეს ესმის. პრინციპიალური მოსაზრება აქ მოსატანი არ არის. აქ პრინციპიალური დედა არ არის. მაშასადამე, ყოფილა ერთად — ერთი მოსაზრება, ერთად ერთი ნიადაგი ეს არის პრაქტიკული ნიადაგი. ამ პრაქტიკულ ნიადაგზე უნდა დავდგეთ.

მე მგონია, თუ ჩვენი საბჭო ამ შემთხვევაში პრაქტიკულ ნიადაგზე დადგა, უნდა მივიღოთ ის, რაც ხალხისთვის უფრო ადვილი გასაგებია. უნდა უარვეყოთ ის, რაც ხალხისათვის ადვილი შესათვისებელი არ არის უნდა გამოვჩახოთ ისეთი რამ შემეცნება, რომელიც ხალხს ასე თუ ისე, გაცნობილი აქვს, და რომელსაც, ასე თუ ისე უფრო ადვილად შეითვისებს.

ბატ. საყვარელიძე ბრძანებს: ეს ბართალია, ქართული სიტყვა არ არის, მაგრამ გაქართველებულია! ამ სიტყვის იმ მოსაზრებით დაცვა, რომ ქართველ ხალხისთვის ის უფრო შესაფერისი იქნება, ეს მე მგონია, უნდა უარყოფილი იქნეს. შემდეგ არ არსებობას არც ერთი ხალხი, არც ერთი სახელმწიფო, რომელიც თავის საკუთარ ეროვნულ შემეცნებით, ეროვნულ სახელს არ უწოდებდეს თავის საკანონმდებლო დაწესებულებას და პარლამენტი, დასძენს ის — არ არის საკუთარი სახელი, ის არის ზოგადი შემეცნება და პარლამენტი შეიძლება დაერქვას ისეთ დაწესებულებას, სადაც არ არის წმინდა პარლამენტარიზმი დაცული.

მე მგონია, ის მოსაზრება, რომ სხვა სახელმწიფოს არა აქვს ისეთი რაში რომ, მართო პარლამენტს უწოდებდეს, — ჩვენთვის სავალდებულო არ არის. (ეროვნულ დრემოკრატიების მხრივ: სასურველია!) და, რასაკვირველია, მაგ არგუმენტის აქ მოყვანა არ ღირს, და სულ ზედმეტია.

დამეთანხმებით, რომ ფართო მასსა, ხალხი გაცილებით უფრო მეტად იცნობს ასე თუ ისე, სიტყვა პარლამენტს, ვიდრე სიტყვა დაწახს. დარბაზს თუ იცნობს, უნდა მოგახსენოთ, ისეთი წარმოდგენა აქვს, რომ დარბაზი დიდი თავლია, სადაც ცხენებს შეერგებთან (სიცილი).

უკაცრავად, ყოველ შემთხვევაში, ხალხში იმის ჩანჩურგვა, რაც



თქვენ გსურთ, ბ. შიშხენგელი, გაცილებით უფრო ძნელი ვიდრე იმ სიტყვისა, და სახელწოდების დაკანონება, როგორც სენათ კომისიაში ჩვენი ფრაქციის წარმომადგენლებმა. ამგვარათ, დიდი ხანია მის შემდეგ, რაც კოტად, თუ ბევრად, საშუალება მოგვეცა პრესაში თუ კრებებზე, თუ აგიტაციით, სიტყვით, თუ წერილებით. აგვესხნა ხალხისთვის სიტყვა ზარღაშქტა, მისი დადებითი მხარე. ეს უკვე გატარებულია ფართო მასშაბში. ჩვენ ქართველმა ხალხმა არა ერთი და თორი მსხვერპლი გაიღო რომ, სხვათა შორის პარლამენტი მოეპოვებინა. ასეთი შემეცნება აქვს, მან უკვე იცის რა არის პარლამენტი. თქვენ კი გსურთ, უსათუოდ დასწიოთ პარლამენტის პრესტიჟი, და დაარქვათ ღარბაზი. თუ დაარქვით „ღარბაზი“ დეე, ხალხმა გაიგოს, რომ ეს არ არის თავლა, და არის დიდი ოთახი. განა აქედან გამოდის, რომ იმ მიზანს მიაღწევთ, რომელიც თქვენ გსურთ? მე მგონია, არა.

რა სახელიც გსურთ დაარქვით, ოღონდ პარლამენტს ნუ დაარქმევთ: — ბრძანებს შიშხენგელი. საბჭო, კრებული, პალატა, და სხვა; და არც ერთი მოსაზრება იმის დამამტკიცებელი, რომ ხალხის თვალში უფრო აიწვეს ჩვენი დროებით, საკანონმდებლო დაწესებულება. ვთქვათ, პარლამენტს სახელი გამოუცვალეთ, და დავარქვით ღარბაზი — არც ერთი მოსაზრება, არც ერთი საბუთი იმის დამამტკიცებელი, რომ ხალხი უფრო გაიგებს ამ სახელს, ვიდრე იმ სახელს, რომელიც ჩვენ შემოგვქაქს — არ იყო მოყვანილი.

სახელმწიფოებრივი მოსაზრებაო, და ეს მოსაზრება თურმე იმაშია, რომ შეფობის დროს, ერთგვარი პარლამენტის გამოშვებული დაწესებულება ყოფილა, და ამას ერქვა „ღარბაზი“. ძალიან ვარგი იყო ესე. მაგრამ გეკითხებით თქვენ, როდესაც თქვენ ასე უყურებთ საკითხს, როგორ გგონიათ, ხალხს რომ განუშარტოდ ესე იყო, — იმიტომ უფრო შეუყვარდება ჩვენ საკანონმდებლო დაწესებულება, თუ უფრო მეტ იქვებს დაუბადებს? ისედაც დიდი სარბიელი აქვს სხვათა-შორის, სხვა და სხვა პროვოკაციას ჩვენ ხალხში, ჩვენ და საუბედუროდ, და არ ვიცი, თუ ეს ერთად ერთი საბუთი არის, რომელითაც გინდათ დაასაბუთოდ, — სულ პირუქულმა მიზანს მიაღწევთ და არა იმ მიზანს, რომლისთანაც მიისწრაფებით.

რაც შეეხება იმას, რომ ზოგადი ხასიათი აქვს სახელ „პარლამენტს“ — მე მგონია, მართო პარლამენტის დარქმევაზე არ იყო ლაპარაკი, აქ იყო ლაპარაკი: „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი“, და სხვა. და, გარწმუნებთ, ბ. ჰაღღე; და სხვებსაც, ვინც ასე აზროვნებს, რომ არც ერთ ქვეყანაში არ იქნება — ისეთი საკანონმდებლო დაწესებულება, რომელსაც „საქართველოს პარლამენტი“ ერქმევა, არც ინგლისში, არც შვეიცარიაში. „საქართველოს პარლამენტი“ არ იქნება დედა-მიწის ზურგზე. ეს იქნება საკუთარი სახელი საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებისა. მაშასადამე, თუ მაშინ ზოგადი სახელი იყო, — ეხლა იქნება საკუთარი, შინაური შინაშენლობისა.

იმიტომ, მე მგონია, რომ აქ ბევრი ლაპარაკი სულ მეტი არის და ის წინადადება, რომელიც აქ იყო ჩვენ ფრაქციის მიერ შემოტანილი, ეს წინადადება არ არის დარღვეულ იმ მოაზრებით, რომელიც იყო გამოთქმული აქ. სრულად არ არის დარღვეული და ჩვენი გადაწყვეტილება, რომლის ინსტიტუტური ჩვენი ფრაქცია იყო, ეროვნულ საბჭოს წინაშე, — ძალიან რჩება და მე წინადადება შემომამქვს, რომ — კო-



მისიის მიერ მიღებული სახელწოდება უარყოფილი იყოს, და საბჭოს დაერქვას საქართველოს პარლამენტი.

მე აქ არ ვილაპარაკებ დანარჩენ სახელებზე. იმიტომ რომ არ ვიცი, ჯერ დამკვლევები არ გამოისულან, და თუ მომზადნი ილაპარაკებენ, მე ჩემს მოსაზრებას მაშინ გამოვსიტყვებ, და აგრეთვე ინფორმაციას მივივსცემ.

თავმჯდომარე კრონულ საბჭოს წევრი ჩერქეზიშვილი ივანე.

ივ. ჩერქეზიშვილი. (ს. რ.) ბატონებო! ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ წინადადებას, რომელიც აქ შემოიტანილი არის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით.

უნდა მოვახსენოთ, რომ მართლაც, სიტყვა „პარლამენტი“ ზოგადი მტნებაა და ჩვენის აზრით, არ შეიძლება ასეთი სახელი დეარქვიათ, საქანონმდებლო დაწესებულებას. მე იმერეთში გამიგონია მაგათად, რომ ბავშვს არქმევენ ხოლმე „პარაფაზი“ „კონდუქტორი“ „სემაფორი.“ და სხვა ასეთ უცნაურ სახელებს. დედა გაიგონებს ხოლმე რაიმე ლამაზ სიტყვას, და არ იცის მისი ნამდვილი მინაარსი, მაგრამ სიტყვა მოსწონს. აიღებს და ბავშვს დაარქმევს. ჩვენ არ შეგვიძლიან ამ გზას, დავადგეთ და ამისთანა მაგალითებს მივბაძოთ.

ჩვენ გვეუბნებიან: ხალხისთვის უფრო გასაგებია სიტყვა პარლამენტი. საქმე იმაშია, ბატონებო, რომ თქვენ უნდა მოძებნოთ ისეთი სიტყვა, რომელსაც ხალხი მიჩვეული არის. იმიტომ ჩვენ ისეთ წინადადებას არ ვაძლევთ, რომ მიიღოთ ის, რაც დღეს აქ იყო დასახელებული; მხოლოდ ვიმეორებთ, რომ სიტყვა პარლამენტი, როგორც საქართველოს საქანონმდებლო დაწესებულების სახელი, არ შეიძლება რომ იყოს მიღებული.

ჩვენ სხვა წინადადება უნდა შემოვიტანოთ. ჩვენ გვგონია რომ, ძირითადი შეცვლა ამ დაწესებულებისა, არის უფლება მომავალ დამფუძნებელ კრებისა. დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს, რა სახელი უნდა მიეცეს იმ ნამდვილ საქანონმდებლო დაწესებულებას და რასაკვირველია, მიღებულ იქნეს სახელი, რომელიც შემდეგში იქნება დადასტურებული ამ დამფუძნებელ კრების მიერ. მანამდის კი, რაიმე ძირითადი ცვლილების შეტანა, ჩვენის ფიქრით, არც საჭირო და არც კიდევ სარგებლო არის.

უნდა მოვახსენოთ, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში, ხალხის აზროვნებაში ჩვენ შევიტანეთ ძალიან ბევრი ცვლილებები. შეტადრე ამ უმაღლეს დაწესებულებაში. ჯერ იყო ამიერ-კავკასიის კომისარატი, შემდეგ იყო ამიერ-კავკასიის სეიმა, შემდეგ იყო ერაყულ საბჭო. ესლა ჩვენ გვიანდა პარლამენტი. და თუ, ამ მხრივ, ხალხი ვერ დაინახეს სახელწოდებას, რომელსაც ის შეჩვეული არის ჯერ ერთი, რომ მნიშვნელობა უცვლება ასეთს დაწესებულებას, და მეორეც, თვით ხალხის მტნებაში არეულობას შეიტანს.

იმიტომ ჩვენ გვგონია რომ, ფორმალურად და პრაქტიკულადაც უმჯობესი იქნება, რომ ამ სახელწოდებაში ძირითადი ცვლილება არ შევიტანოთ, და ისევ არსებული სახელწოდება იყოს დარჩენილი.

ის ცვლილება, რომელიც ჩვენ შეგვიძლიან შევიტანოთ, უნდა იყოს გამოწვეული იმით თუ რა ცვლილება მოხდა ეროვნულ საბჭოში: ჩვენ შემოგვიერთდნენ, უმცირესობის წარმომადგენლები. მაშასადამე, ის აღარ არის ეროვნული საბჭო, ის არის სხვა რაღაც საბჭო. ის არის მთელი



ხალხის წარმომადგენელთა საბჭო. ჩვენ შევედილიან, რომ ხალხის მკაცრ-
ბაში არცე დარევა ჯარ შევიტინოთ, დივარქვათ საქაროველას საქაროველას
საბჭოს, ამიტომ ჩვენ ამ წინადადებით შემოვდივართ, და უარყოფით
იმ წინადადებას, რომელიც აქ იყო შემოტანილი სოციალ-დემოკრა-
ტიულ ფრაქციის მიერ.

თავმჯდომარე. სიტყვა გუთუნის საბჭოს წევრს მიქელაძეს.
შალვა მიქელაძე. (ს. ფ) ჩვენი ფრაქციის უმრავლესობა იმ აზ-
რისა არის, რომ არც სიტყვა პარლამენტი და არ სიტყვა დარბაზი არ
არის ის სიტყვა, რომელიც ჩვენი ხალხის შემტყნებაში საგებით გამოი-
ხატავს იმას, რაც, ამ ეშაოთ, ჩვენ საკანონდებლო დაწესებულებას პქვი-
ან. ჩვენ ხალხში უკვე სიტყვა საბჭოს საკმაოთ აქვს მოპოვებული მო-
ქალოქობრივი უფლება. ოთხი თვეა, რაც საქართველოს ეროვნული
საბჭო არსებობს. ყველამ უკვე იცის, რომ ეს არის საკანონდებლო
დაწესებულება საქართველოსი. აგრეთვე წინათაც იყო ისეთი დაწესე-
ბულება, რომელსაც საბჭო ეწოდებოდა, მაგალითად, ქალაქის საბჭო
ყველასთვის ცნობილი არის, როგორც მომადწესრიგებელი მოქალაქობე-
რივი ცხოვრებისა. ამიტომ ჩვენი ფრაქციის უმრავლესობა იმ აზრისა
არის, რომ სჯობს დარჩეს ძველი სახელი. ხოლოდ ზედ დასართობი
გამოიკვალოს, ეინაიდან ჩვენი საბჭო ეროვნული აღარ არის, ეინაი-
დან შემოდიან უმცირესობის წარმომადგენელი და მათ ეძლევათ უფ-
ლება და მის ნაცვლად დაერქვას „საქართველოს რესპუბლიკის საბჭო“.
მაგრამ საერთოთ, ჩვენი ფრაქცია სთვლის რომ ეს არ არის დიდი
პრინციპიული საკითხი, და სრულ ავისუფლებას აძლევს თავის წევ-
რებს მისცენ ხმა იმ სახელ წოდებას, რომელიც მოსწონთ.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? (გაბაშვილს) გნებავთ თქვენ?
(გაბაშვილი დიახ!) ინებეთ.

რ. გაბაშვილი. (დამოუკიდ. ფრ. დ.) ბატონებო, მე არ გამოე-
დივარ აქ ფრაქციის სახელით, არამედ კერძოდ, პირადათ.
პაველ საყვარელიძემ, ჩემის აზრით, სრულიად დასაბუთა იმ სახელ-
წოდების აზრიანობა, რომელიც აქ იყო მოყვანილი. სიტყვა დარბაზი
არა ეროვნული არის და ყოველ მხრივ შეეფერება თავის შინაარსს. მაგ-
რამ სრულიად უცნაურია სოციალ-დემოკრატიის ფრაქციის მოთხოვნი-
ლება, რომ დაერქვას პარლამენტი მართო იმიტომ, რომ იგი არის გა-
მოსული უმრავლესობის პარტიისაგან. სხვა არავითარი საბუთი არ არის
იმიტომ რომ პარლამენტი მთელ ქვეყნიერობაზე არსებობს და არის სა-
ერთო სახელწოდება; იმიტომ ამ საერთო სახელწოდების მიღება იმას
ნიშნავს, რომ არავითარი ჩვენი პარლამენტი არ იქნება.

თქმა იმისა რომ სიტყვა დარბაზი არის თავლა, სადაც ცხენები
შედიან, ეს რასაკვირველია, უცნაური საბუთი არის. ეს მხოლოდ იმას
ამტკიცებს, რომ რაც ნამდვილად ხალხისათვის ცნობილი არის, ის
ს. დ. ლიდერებისთვის ცნობილი არ არის, ამიტომ ეს კაცში
ერთი არ არის, რომელმაც არ იცოდეს რა არის დარბაზი.
მთელი ხალხი რომ ჩამოიაროს... (ლომთათიძე. ქართლში ბატონო,
იციან დარბაზი?). ყველამ კარგათ იცის, რომ დარბაზში ცხენებს არ
შერევავენ. პარლამენტის წევრმა თუ ეს არ იცის, ის იმას ნიშნავს
რომ, პარლამენტის წევრმა არ იცის, რაც ხდება საქართველოში, რო-
დესაც ის ამბობს, რომ უნდა მივიღოთ სიტყვა „პარლამენტი“, რად-
განაც ეს პაპილიარული არისო. მე სწორედ გეტყვით, როგორი პო-



პულოდუკრი არის სიტყვა „პარლამენტი“. პოპულიარულად იხმარება არის, რასაც მე და თქვენ ბატონო აღექსანდრე, გაფიგურებულ რული ის არის რაც ამ პოპულში, ამ ხალხში არის განვითარებული. (სოც, დემ. პოპულში! სიცალი) და სიტყვა პარლამენტი არაფერს გააგებინებს. ეს სახელი არ არის.

არც ის გახლავთ საბუთი, ვითომ საყვარელიძემ მოიყვანა, რომ მეფობის დროს იყო შემოღებული დარბაზი, ხალხმა რომ გაიგოს დიდ უსიამოვნობას გამოიწვევსო. ბატონ საყვარელიძემ ჩვენ გასაგებად სთქვა რომ პარლამენტი და დარბაზი შემოღებული არის მეფობის დროს და თუ ჩვენ და ხალხს აუხსნით, რომ მეფობის დროს იყო შემოღებული „დარბაზი“, ჩვენ ისიც არ უნდა დაგმალვით და უნდა აუხსნათ რომ ზოგიერთი პარლამენტი არის შემოღებული მეფობის დროს და ორივე სახელი ერთნაირათ ოდიოზური უნდა იყოს ჩვენი ხალხისთვის. მაგრამ მე სრულებით ვერ გამოვიგია ის მოსაზრება, რომელიც აქ მოიყვანეს იმათ, რომელნიც ამბობდნენ, რომ უნდა იყოს ისევ ის საბჭო. აქ უყვე ჩამოსახველეს რამდენიმე საბჭოები, რომელნიც რევოლიუციონური საბჭოები არიან. ეს ისეთი სასიამოვნო სახელია—მაგალითად, მეშ. საბჭო, სალდათთა საბჭო. მაგრამ მე ვიცი რომ რევოლიუციონერებს არ მოეწონებათ რა არის მაგალითად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო. მიტროპოლიტთა საბჭო. იმისი შიცი როგორ არ გეშინიანთ, თქვენი საბჭოს თანაბარი ისეთი საშინელი ებისკოპოსების და ღვდღების საბჭო იქნება. ერთად ერთი სახელი, რომელიც თუ გნებავთ, სიდარბაისლობას შეეფერება სიტყვა დარბაზი იქნება. შეიძლება ეს სიტყვა, დარბაზი ეხლა მხოლოდ იმითომ არ შეეფერება დღეს სახელათ ამ საკანონმდებლო დაწესებულებას, რომ ჩვენ საქართველოს დარბაზში წინედ მომქმედ. მოლაპაკე პირთ სახელად ერქვათ დარბაისლები. იქნება ამ მხრივ არ შეეფერება და ამ შემთხვევაში დაარქვით პარლამენტი..


თავმჯდომარე. (გაბაშვილს) გთხოვთ კათედრიდან, რომ ლაპარაკობთ უფრო ფრთხილად დაიჭიროთ თავი.

ეროვნულ საბჭოს წევრი ექვთიმე თაყაიშვილი.

ექ. თაყაიშვილი. (ერ. დეა.) ბატონებო, არ ვიცი, თუ რომელი სხვა ხალხი არის დედა-მამის ზურგზე, რომელსაც ისე უყვარდეს უცხო სიტყვები, როგორც ქართველობას. ეს ძველდაც იყო. ბევრი შემეცნებანი და სიტყვები, რომელიც ყოფილა ქართულ ენაში; მაინც საჭიროდ დაუნახავთ უცხო ერებიდან, მეზობლებიდან და სახელმწიფოდან ესესხათ. ეს სენი მოგახსენებთ, ისტორიულია და ეხლაც განსაკუთრებით მეტად გვემჩნევა.

ამ ასის წლის განმავლობაში, ერთი საუკუნის განმავლობაში, ისე შეიცვალა ჩვენი ლექსიკონი, როგორც მეგონია, 10 საუკუნეში არ შეცვლილა მართალია ცვლილებები იმდენად თვალ-საჩინო იყო წინეთაც, რომ ერთი მემატინე ამბობს—წინად ქართველი ერთი ქართულ ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ, როდესაც სხვა და სხვა ენა შემოვიდა მაშინ ქართული ენა გახდა მორთულიო ე. ი. სხვა და სხვა ენებით შეზამებული. რომ ის ისტორიკოსი ყოფილიყო, ეს უარესად უნდა გაეშორებინა.

ძველად, როდესაც ბიზანტიის და არაბეთის კულტურას ჯეროვანი გავლენა ჰქონდა ჩვენზედ უმეტესი ნაწილი ტერმინების ბიზანტიური და არაბული იყო. მხოლოდ შემდეგ, როდესაც სპარსეთის გავლენა განვი-



ცადეთ და ზოგიერთი მეფენი აღიზარდნენ სპარსეთში ნახეტნავად რომს ტომ მეფის დროს, სრულად ყველა მოხელეთა და დაწესებულებათა სახელი ქართული, ანუ ბიზანტიიდან შემოსული; ან ძველი არაბეთიდან მიღებული შესცვალეს სპარსულ სახელებზე. იმოდენად შეიკვალა, რომ თუ უკანასკნელ დროს არ აღმარნენილიყო „ხელმწიფის კარის გარიგება“ ჩვენ ყველა ძველ ტერმინებს და მოხელეთა სახელებს სრულად ვერც აღვადგენდით. (ხმა: ხმა მაღლი). უფრო ხმა მაღა მე არ შემოიძლიან, აი სწორედ, რომ სრულად მეფის დროს შემოვიდა ხმარებაში ყულარადასი; ყოჩაღიში, შემანდარი და სხვა მოხელეთა სახელები, რომელიც დღეს ხმარებაში აღარ არის.

ბოლო დროს, რასაკვირველია, როცა განვიცადეთ გეროპის კულტურის გავლენა, რომელიც რუსეთიდან შემოვიდა ჩვენში უმეტესი ნაწილი მოხელეთა და დაწესებულებათა სახელებისა ჩვენ მივიღეთ გეროპიული და რუსული, მაგრამ, როდესაც ჩვენ აღვადგინეთ ჩვენი სახელმწიფო, გვინდა ეს სახელმწიფო განვაშტეტოთ, თუ კი მოგვებოკება ქართულ ენაში ისეთი შემცვენებანი, რომელიც ასე თუ ისე კარგათ გამოხატავენ ჩვენს აზრს ქართულად, მაშინ უთუოდ თავი უნდა დაგანებოთ სიტყვების სესხობას, როგორც აღმოსავლეთიდან ისე დასავლეთიდან. უნდა ავიღოთ ისეთი სახელი, რომელიც ნამდვილი ქართული სახელია და გამოხატავს იმ აზრს, რომელიც შეეფერება სახელმწიფოში ყველაზე უმაღლეს დაწესებულებას. შარათალი ბრძანა მომხსენებელმა, რომ დარბაზი გაქართველებული სიტყვაც ძველ მწერლობაში ხმარებული და ახალშიც დარჩენილი. მაგრამ რას ნიშნავს დარბაზი, როგორც მომხსენებელმა განმარტა, დარბაზი ნიშნავს დიდ ოთახს, როგორც არის ამ შემთხვევაში გლენთა დარბაზი. სწორედ გლენი კაცი ამ დარბაზში იღებს თავის სტუმრებს რომ ემასპინძლოს (იგი ნიციკი—და არა ცხენებს). გლენთა დარბაზს განსაკუთრებული სტილიც აქვს, რომელიც ესლა გამოდის ხმარებიდან და თანდა თან უქმდება. ისე რომ ძველი დარბაზი ნაკლებად არის შერჩენილი. დიდ ოთახს, ანუ ზაღას მეფის სასახლეში სეფე-დარბაზი ერქვა, ისე როგორც დიდ ოთახს ციხეში ციხე-დარბაზს უწოდებდნენ. დიას მეფის სასახლეს, შთაგრობის სასახლეს, რომელიც დიდ ვეება მისაღებ ოთახს უფროცელეს ოთახს შეიცავდა ერქვა სეფე-დარბაზი. (ხმა: ნოეს კიდობანი) რუსთველსაც აქვს: სეფესა შენსა დარბაზსა. სიტყვა დარბაზი, როგორც წინაქვემი იყო ქართული არ არის—სპარსულია. სპარსეთიდანაა შემოტანილი, მაგრამ ხმარებული ჩვენს მწერლობაში ძველის დროიდან მაშასადამე თუ მივიღეთ დარბაზი, ან სეფე-დარბაზი, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ნამდვილი ქართული სიტყვა არ არის, და ამიტომ ჩვენ არ გვაქვიაყოფილებს. ხალში რა თქმა უნდა არც დასავლეთ საქართველოში, არც აღმოსავლეთში ეს სიტყვა ცხენების დასამელო თავლას არ ნიშნავს, არამედ თვალსაჩინო სტუმრის მისაღებ საუკეთესო ოთახს, სასახლეში თუ სხვა სახლში, ეს ყველა იცის.

ესლა ავიღოთ ბალატა, ან ავიღოთ სიტყვა პარლამენტი. სწორედ ეს სიტყვები იმავეს ნიშნავენ, რასაც დარბაზი. ეს არის შემცნება არა თვით ბუობისა, არა აზრთა გაცვლა გამოცვლისა, სახელმწიფო საქმე-



ებზე ბაასისა, არამედ არის შემეცნება ადგილისა, დიდი სახლისა, საღვთისა, როგორც სიტყვა დარბაზი, ისე პალატა ორივე ერთი და იგივეა. მხოლოდ ერთი იქნება აღმოსავლეთიდან ნასესხები სიტყვა და მეორე დასავლეთიდან. რასაკვირველია, ეხლა რადგან ყველაფერი დასავლეთიდან ვადმოგვაქვს, ამისთვის უპირატესობას ანიჭებთ ეგროპიულ სიტყვებს. შეიძლება იყოს ვთქვათ ან პალატა, ან და პარლამენტი მიიღებოდა, მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ იქ ეს სახელები ისტორიულად გამოიშუშა და ჩვენს ისტორიასთან და სახელმწიფო წყობილებასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. არც ერთი და არც მეორე სახელი ისე არ შეეფერება ნამდვილ ქართულ აზრს საკანონმდებლო დაწესებულებისას, როგორც სიტყვა საბჭო. სიტყვა საბჭო, წარმოშობილი სიტყვიდან ბჭობა—სწორედ ნამდვილი ქართული სიტყვაა და ყოველთვის, როდესაც რამე საქმეზე უნდადათ მოლაპარაკება ან და რამეს გადაწყვეტა, მაშინ მოიკრებიან წარმომადგენლებს სხვა და სხვა წოდებისა და ბჭობდნენ. ხშირად შეხვედებით ძველ მწერლობაში სიტყვებს: „დავსხედით და მოვიხსენით ბჭენი“. ბჭენი რასაკვირველია თვით მსაჯულებასაც ნიშნავდა. მაგრამ იმავე დროს ნიშნავდა იმ გამოცდილს და შეგნებულ ხალხსაც, რომელიც სახელმწიფო საკანონმდებლო საქმისათვის იყო მოწვეული და მათი აზრი უნდადათ გაეგათ. ამიტომ იმ დაწესებულებას, რომელშიაც ხალხის წარმომადგენელი ბჭობენ სახელმწიფო საქმეებზე უსათუოდ საბჭო უნდა დაერქვას. ეს ქართულიც არის და ისტორიულიც. ამაზე უკეთესი სიტყვა ჩვენი მიზნის გამოსახატავად ჩვენს ლექსიკონში არ მოიპოება. მაგრამ ჩვენს დაწესებულებას ეროვნული საბჭო კი არ უნდა ვუწოდოთ მე ამის წინააღმდეგ ყოველთვის ვიყავი, არამედ საქართველოს რესპუბლიკის საბჭო. ამაზე უკეთეს სახელწოდებას ვერ გამოიხატავთ, თუ მიინცა და მიინც არ გინდათ უკუაგდოთ ქართული სახელწოდება და შემოიღოთ ნასესხები. ჩემის აზრით ბევრად სჯობია, ხალხმაც კარგად იცის, ქართულსაც კარგად ეწყობა და ნამდვილი ქართული სიტყვაც არის საბჭო. საბჭოს ნუ გამოვცვლით დარჩეს ესე: საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს, ეს ყველასთვის გასაგები იქნება და ეროვნული ქართული სახელწოდებაც არის.

თავმჯდომარე. მე კენჭს უყრი... (ხმა მარჯვნიდან უკანასკნელი სიტყვა მომხსენებელს!). უკაცრავად. სიტყვა ეკუთვნის—„მომხსენებელს პაველ საყვარელიძეს.

პაველ საყვარელიძე. (აღ.). ორიოდ სიტყვას მოვასხენებ მოწინააღმდეგებს.

პირველ ყოვლისა, მე მაკვირებს ალექსანდრე ლომთათიძე. აქ არ არის საჭირო დემაგოგიურ ნიადაგზე ვილაპარაკოთ, ან კიდევ თქმა იმისა, რომ ხალხმა იცის, ან არ იცის. ეს საზუსთო არ არის. (აღ. ლომთათიძე.—„სად არის ბატონო პაველ აქ დემაგოგია!“) ხალხისთვის ყველაზე პოპულიარული კომიტეტია. მაშ კომიტეტი დაარქვით საპარლამენტო უწყებას. სამწუხაროთ ვერ ვიტყვით, რომელი უფრო ესმის ხალხს. არ შეიძლება ვთქვათ, რომ ხალხს დარბაზი არ ესმის და ამიტომ დავარქვათ. ხალხს შეიძლება პარლამენტი უფრო არ ესმოდეს. არ არის დამტკიცებული, რომ პარლამენტი უფრო პოპულიარულია. მხოლოდ შეიძლება *a priori* ულად ითქვას, რომ დარბაზი უფრო პოპულიარული იყოს ვიდრე პარლამენტი.

გარდა ამისა, რატომ მასწვრთ იმას, რაც არ მიიქვამს და არ შე-



მეძლო მეტყუა. მე არ ვამტკიცებ, რომ პარლამენტი არ ვარგა. პარლამენტი კი ვარგა, მაგრამ საქართველოს პარლამენტისთვის ისეთივე სხვა მეორე სახელია საჭირო, როგორც მთელ დედამიწის ზურგზე არის.

ჩვენ პარლამენტს კი არ ვარქმევთ, საქართველოს პარლამენტს ვარქმევთ. მართლაც მართო პარლამენტი გაუგებარი არის და თუ არ მიუმატეთ საქართველოს ზარღამენტი, რასაკვირველია მაშინ არაფერი იქნებაო. მაგრამ მე მგონია, მაინცა და მაინც უფრო უკეთესი სიტყვებია, ვიდრე პარლამენტი. დარბაზიც რომ დავივიწყლო, სხვა მიიღეთ, კრებული, საბჭო—ეს სახელები არავითარ შემთხვევაში არ წაბილვენ ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებას, და იმავე დროს მისცემენ საკუთარ სახელს და იმავე დროს პარლამენტი იქნება. ჩვენ პარლამენტს კი არ ვებრძვით, არამედ პარლამენტს სახელს უნაზავთ.

არ ვიცი, მგონია ჩვენს თავმჯდომარეს უმახვილია, რომ პარლამენტს პარლამენტი დავარქვათ. ჩვენში ხომ იციან, რომ კაცს არქმევენ კაციას, კაცს არქმევენ ბიჯიას. ეს შეიძლება, მაგრამ თუ იმაზე წავა საქმე, რომ ხალხს, ქართველ ხალხს, მაინცა და მაინც, კარგი სახელი უნდა, მაშინ ვერაფერი შეილება ეს სახელი, კაცია, რომ სხვა უკეთესი ვერ მონახონ, როდესაც არის სხვა დარბაისელი შესანიშნავი სახელი.

—კიდევ მესმის.
მე ვამტკიცებ, რომ არ არის დამტკიცებული, რომ სახელად უსაფუძვლოა ეს სახელი პარლამენტი. რატომ გინდათ, რომ რესპუბლიკის საბჭო ან დარბაზი არ დავარქვათ და დავარქვათ პარლამენტი. პარლამენტი ჰქვიან ყოველ დაწესებულებას ამ გვარს. საბჭო, დარბაზი და პარლამენტი ყველა ერთი და იგივე მცნებაა. და მოგვეცით ნება, რომ საქართველოში ქართულად დავარქვათ აი ამ დაწესებულებას ქართული სახელი.

რაც შეეხება თავლას, ეს ისე უსუსური საბუთია, რომ არავითარ კრიტიკას არ შეიკავს. (იმერეთში იციან თუ არა, რა არის დარბაზი?) არსად საქართველოში დარბაზს თავლად არ ჰქვიან. ეს აშკარაა. პირიქით ყველამ იცის — „მომიკია ციხე დარბაზიო“. ეს იციან უბრალო გამოცანებს რომ ახსნიან, მაშინც იტყვიან ხოლმე. დარბაზი არის გამოშხატველი დიდ ძვირფას შენობისა, თქვენ კი გამოსულხართ და შეუბნებით: ეს არ არის მართალი. საეაღდებულო არ არის, რომ საბჭო დავარქვათ. შეიძლება საბჭო დავარქვათ, შეიძლება დავარქვათ პარლამენტი. მაგრამ კარგი იქნება ეს თუ არა ამაშია საქმე და მოგონია რომ ეს კარგი არ იქნება.

მე არ ვაცხადებ, რომ ჩვენი სახელმწიფოს დარბაზი, რესპუბლიკის დარბაზი არის ქართული სიტყვა. მე ვთქვი: ეს უცხო სიტყვიდან წარმოსდგება, მაგრამ დღეს ქართული სიტყვა არის.

დროშა, რომელიც თქვენ დაამტკიცეთ, ხომ სხვა სიტყვიდგან წარმოსდგა? ამ ნაირად, ვამბობ დარბაზი არის გამოშხატველი იმავე მცნებისა, რომელიცა პარლამენტი. მაგრამ კითხვა იმაშია, რომ დედამიწის ზურგზე სუყველგან პარლამენტი ჰქვიან, მაგრამ საკუთარი სახელი მაინც რჩება. როდესაც რეიხსტაგს იტყვით, ბატონებო, მაშინ ყველა მახდდება რომ გერმანიაში არის. რიხსტაგს რომ იტყვით, ყველამ იცის, რომ ეს ავსტრო-უნგრეთში არის და არ მოუნდება ინგლისში ქებნა. ყოველ დაწესებულებას თავის საკუთარი სახელი უნდა ჰქონდეს. ეს ურაც ყველია. ამის საწინააღმდეგოთ არა ითქმის რა. შეიძლება მიიღოთ



პალატა, საბჭო, მაგრამ მე კი იმის წინააღმდეგი ვარ, ^{საქართველოს} პარლამენტი. ამის დარქმევა ეს არის დაფარწინით უსახელოდ. ჩვენ გვინდა მოგნათლოთ და საკუთარი სახელი დავარქვათ.

ამბობენ პოპულიარული არ არის დარბაზიო, ეს არ არის მართალი, პოპულიარული არის, არა ნაკლებ ვიდრე პარლამენტი. თავისთავად ცხადია, რომ დარბაზს აუცილებლად უპირატესობა უნდა ჰქონდეს, რომ იმას უფრო სახელმწიფოებრივ აზრით ხმარობდნენ ჩვენი ისტორიკოსები. ამ შემთხვევაში არ უნდა ბელმძღვანელობდეთ იმითი, თუ რას იტყვის ესა თუ ის ხალხის წარმომადგენელი, რომელმაც შეიძლება არაფერი არ იცის, არც ისტორია სახელმწიფოებრივი და რომელსაც, შეიძლება არც უფლებრივი პოლიტიკური განვითარება აქვს, ჩვენ უფრო უნდა ვხელომძღვანელობდეთ პოლიტიკურ განვითარებით და უფლებრივ იურისპრუდენციით. (ხმა—ამ შემთხვევაში რა ისტორია გვინდა)

მე არ მეგონა თუ მილადატებდა ბ. ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. მე ყველას ვკითხვ, ჯავახიშვილმა გუშინწინ შითხრა, რომ უკეთესი სახელი დარბაზი არისო. მე ვკითხვ ბ. ე. თაყაიშვილს—იმანაც შითხრა საუკეთესოა; დარბაზი, სახელმწიფოს დარბაზი.


სიტყვა დარბაზზე ყოველ შემთხვევაში, შეიძლება დავაიყვეს, მაგრამ სახელი უნდა უწოდოთ მას, და არა ის სახელი, რომელიც თავისთავად არაფერს არ დარქმევს,—ეს ცხადია. პარლამენტი რომ დავარქვათ ეს ისეთი სახელია, რომ თითქმის არაფერს არ დავარქმევთ.

ამასთან პარლამენტი რომ წინასწარ დავარქვათ, მე არ მინდა და იცით რატომ? ჩვენ თუ პარლამენტს დავარქმევთ ეს პარლამენტარიზმის ფიქსაცია იქნება, მაგრამ მე შესაძლებლათ მიმაჩნია, რომ მომავალი წესწყობილება სულ სხვა ნარი გვექნეს. —(ლომთათიძე—გავიგონეთ ბატონო). მაგრამ ყოველ შემთხვევაში, შეიძლება აუცილებელი არ იყოს პარლამენტარიზმი.

ძალიან ცუდია, როდესაც დამოუკიდებელი ფრაქციის წარმომადგენელი მე მიცავს. ეს ნიშნავს რომ აუცილებლათ წინადადება უარყოფილი იქნება. (სიცილი) მაგრამ ყოველ შემთხვევაში ერთის მომხრე ვარ, როგორც კერძო წევრი ამ პარლამენტისა, —იმ შემთხვევაში, თუ არ მიიღებთ ჩემ წინადადებას, თუ არ მიიღებთ წინადადებას ბ. ი. ჩერკეზიშვილისას, რომ გადაადოს დამტოვნებელ კრებამდინ ამ საბოლოო სახელის გამოჩახვა, ყოველ შემთხვევაში მიღებული იქმნეს რაიმე სხვა სახელი თუ არა დარბაზი. რაიმე სხვა სახელია. იმ 4—ნ სახელიდან, რომელი წამოყენებული იყო კომისიაში როგორც გამომხატველი ჩვენი პარლამენტის სახელწოდებისა. საერთოთ, კომისიის სახელით წინადადებას ვიძლევი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ეწოდებოდეს საქართველოს რესპუბლიკის დარბაზი.

თავმჯდომარე. ნება მომეცით კენჭი უყარო პირველ მუხლს, რომელსაც კომისია ემყარება. მე ამ წინადადებას უნდა უყარო კენჭი, თუმცა უნდა მოგახსენათ, ამნაირი წესი სავსებით არ გამოიმდინარაობს ჩვენი რეგლამენტიდან. მე სხვა საშუალება არა მაქვს, მე უყრი კენჭს, რომ გამოირჩევეს, —ისე როგორც შემოიტანეს ავტორებმა; (ხმა: ჯერ მომხსენებლის წინადადება) მომხსენებლის აზრი ექვედნ იცით. არის კომისიის წინადადება.

პირველი წინადადება იყო, რომ დავარქვას საქართველოს პარლამენტი. ეს იყო პირველად შემოტანილი სოც.-დემოკრატების მიერ.



მეორე წინადადება: დაერქვას: საქართველოს სახალხო საბჭო, ეს იყო შემოტანილი სოც.-რევოლუციონერობის მიერ.

შემდეგ სოც.-ფედ. ფრაქციამ შემოიტანა წინადადება: საქართველოს რესპუბლიკის საბჭო.

რაც შეეხება იმ წინადადებას, რომ გადაიღოს, მე წერილობითი წინადადება არა მაქვს. ამასთან ჩვენ რეგლამენტში ნათქვამი არ არის, რომ გადაიღოს დამფუძნებელ კრებადის. ჩვენს რეგლამენტში ნათქვამია გადაეცეს რომელიმე კომისიას.

ამიტომ თუშეცა ეს შესწორება არ არის, მაგრამ ნება მომეცით მე კენჭი უყარო ჯერ ამ წინადადებას (ხმა: შესწორება არ არის). მე მოგახსენეთ სხვა ვხა არ მაქვს. (ხმა: ჯერ კომისიის წინადადებას უყაროს კენჭი) თუ გნებავთ ჯერ კომისიის წინადადებას უყრი კენჭს. თქვენ იცით თუ რა ნაირი არის ეს წინადადება: დაერქვას რესპუბლიკის დარბაზი ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? (ქვევტორს, გთხოვთ დასთვალათ). (ხმა: როგორ მონდა? უარყოფილია?) შემდეგი წინადადება შემოტანილია სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის მიერ დაერქვას ამ საბჭოს საქართველოს პარლამენტი. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი?

შემდეგი წინადადება სოც. რევოლუციონერებისა. დაერქვას: საქართველოს სახალხო საბჭო ვინ არის მომხრე?

შემდეგი წინადადება სოც. ფედ. ფრაქციისა დაერქვას: საქართველოს რესპუბლიკის საბჭო.

კომისიის წინადადებას მომხრე გახლავთ 19—წინააღმდეგი 39.

სოც. დემოკრატიულ ფრაქ. წინადადებას 40 მომხრე, წინააღმდეგი 30.

სოც. ფედერ. ფრაქციის წინადადებას მომხრე 26--წინააღმდეგი 40.

სოც. რევ. ფრაქციის წინადადებას მომხრე 5.

უნდა გითხრათ, რომ წინააღმდეგისთვის არ მიყრია კენჭი.

ამ რიგად მიღებული გახლავთ სოც. დემოკრატიების წინადადება.

მაშასადამე კანონი მიღებული გახლავთ და გადაეცემა რედაქციის კომისიას.

კანონ-პროექტი 1909 წლის მარტის 18-ის კანონი (პენსიათა და ერთდროულ შემწეობათა) გაუქმებისა.

(თავმჯდომარეობის ადგილს იქებს ქვეთიშე თაქაშვიდა).

თავმჯდომარე. შემდეგი საკითხის მომხსენებელია საბჭოს წევრი იოსებ ბარათაშვილი.

იოსებ ბარათაშვილი (ს. ფ.). შინაგან საქმეთა მინისტრმა შემოიტანა კანონ-პროექტი 1909 წლის 18 მარტის კანონი პენსიათა და ერთდროულ შემწეობათა გაუქმების შესახებ.

საზოგადოდ, უნდა მოგახსენიოთ, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ, დღიდან მის დაარსებისა, 26 მაისიდან ეს კანონები მიღებულია და თავის წესით ჩვენ ჯერ არ გაგვიუქმებია.

1909 წ. 18 მარტს გამოცემული იქნა კანონი პენსიის და შემწეობის შესახებ იმ პირობა, რომელიც დაზარალებულ პოლიტიკურ მიზნით ჩადენილ მორატ-მოქმედებისათვის. ეს კანონი იყო განსაკუთრებული კანონი რომლითაც ეძლეოდათ დახმარება პენსიით და შემწეობით. ერთდროული დახმარება ეძლეოდა არა მარტო იმ მოხელეებს, რომლებიც



სხვა და სხვა დაწესებულებებში მსახურებდნენ, არა მარტო ვინც პირდაპირი დაზარალება მიიღეს, არამედ ეძლეოდათ შათ მშენს, დებს, რასაკვირველია, ობლებს და ოჯახებს. ამის შესახებ ლაპარაკი მტკია. მაგრამ მოგახსენებთ, რომ ეს კანონი იყო მიღებული იმისთვის, რომ გაემხნევიებინათ ის პირნი, რომელნიც ებრძოდნენ რევოლუციას, დემოკრატიულ წესწყობილების დამყარებას. ეს კანონი თუმცა მიღებულია 1909 წ. მარტის 18-ს, მაგრამ მოქმედებაში შესული იყო 1905 წ. პირველ იანვრიდან, როდესაც პირველად რევოლუციონური მოძრაობა დაიწყო.

როგორც მივიღეთ სამინისტროდან ცნობა—თბილისის გუბერნიაში ამისთვის იხარჯებოდა ათასი მანეთი, ქუთაისის გუბერნიაში კი—22 ათასი.

თავის დროზე რუსეთის დროებითმა მთავრობამ დაადგინა, რომ ეს კანონი არ შეესაბამება ახალ მოთხოვნილებას ეს კანონი, რომელიც იყო 1909 წ. 18 მარტს გამოცხადებული და იყო ის აზრი, რომ ეს კანონი სრულიად უნდა გაუქმდეს—მაგრამ ვატარდა მარტო ნაწილობრივ. მოისპო იმ პირთათვის, რომელნიც იყვნენ ახალნი, ვინც კი ძველად იყვნენ, სამწუხაროდ ისევ დარჩა.

მას შემდეგ, რაც დაემხო ძველი მთავრობა რუსეთისა, მას შემდეგ, რაც ჩვენში დამყარდა ის წესი, ახალი წესი დემოკრატიულ რესპუბლიკისა, ბატონებო, უნდა მოგახსენოთ, რომ ორ თვალსაზრისიდ ჩვენ ამ ძველ კანონს ვერ მივიღებთ და ეს ახალი კანონპროექტი უნდა მივიღოთ შემდეგი მოსაზრებით:

ჩვენთვის შეუძლებელია, რომ გადავდოთ 80 ათასი მანეთი. შეუძლებელია, რომ ისეთმა პატარა ბიუჯეტმა, რომელიც ჩვენ გვაქვს, ასეთ პატარა სახელმწიფომ აშოდნა ხარჯი გასწიოს. (ხმაურობა).

(თაყაიშვილი. ვთხოვთ, სიწყნარე დაიცვათ).

შეორე: ეს არის დახმარება იმ პირთათვის, როგორც მოგახსენეთ. რომელნიც იბრძოდნენ, ებრძოდნენ რევოლუციას, ებრძოდნენ დემოკრატიულ წესებს, და მაშინ, როდესაც დემოკრატიული წესწყობილება დამყარდა, როცა სწორედ ის პირნი ებრძოდნენ ახალ მიმართულებას, შეუძლებელია, რომ ჩვენმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ გადადოს განსაკუთრებული თანხა ამ პირთათვის.

ამის და მიხედვით უნდა მოგახსენოთ, რომ იურიდიულმა კომისიამ მიიღო ეს კანონ-პროექტი და უარყო 1909 წ. 18 მარტის კანონი.

თაყაიშვილი. ვის სურს სიტყვა კანონ-პროექტის შესახებ, ვივ არის წინააღმდეგ რომ გადავიღეთ მუხლობრივ განხილვაზე. ვთხოვთ წაიკითხოთ I მუხლი.

იეს. ბარათაშვილი. (კითხულობს).

I მუხლი. პენსიათა და ეროდროულ შემწეობათა წესდება (კანონ. დებ. ტომ, III.) განყოფილება VI შესახებ პენსიის და შემწეობის დანიშნისა იმ პირთათვის და მათი ოჯახებისათვის, რომელნიც დაზარალებდნენ პოლიტიკურის მიზნით ჩადენილ ბოროტმოქმედებისაგან (მუხ. 742-752), გაუქმებულ იქნენ.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ. ვინ არის წინააღმდეგი. ვთხოვთ წაიკითხოთ მე 2-ე მუხლი.

იესე ბარათაშვილი. (კითხულობს).



ქვემოთხატული
საქართველოს
საქართველოს

II მუხლი. ამ განყოფილების წესის თანახმად დანიშნულ და შემწყობათა მიცემა შეწყვეტილ იქნეს.

თავმჯდომარე. ვის მსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ მაშასადამე მუხლი მიღებული გახლავთ. გთხოვთ, ბატონო, წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

იესე ბარათაშვილი. (კითხულობს).

III მუხლი. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

თავმჯდომარე. ვის მსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მუხლი მიღებულია. კენჭს უყრი მთლად კანონ-პროექტს. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

სარეგლამენტო კომისიის წევრთა ახალი შემადგენლობა.

თავმჯდომარე. (მდივანს) გთხოვთ წაიკითხოთ ეგ სია.

იოსებ აბაკელია. (კითხულობს) საქართველოს ეროვნულ საბჭოს სარეგლამენტო კომისიის წევრთა ახალ შემადგენლობის სია: **რაჭდენ არსენიძე** (ს. დ.) 2 **ლეო ნათაძე** (ს. დ.) 3) **არჩ. ჯაჯანაშვილი** (ს. ფ.) 4) **ივ. ჩერქეზიშვილი** (ს. რ.) 5) **გრ. ვეშაპელი** (დამ. ერ. დემ.) 6) **სპ. კელია** (ერ. დემ.) ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი: 7) **არშაკ ბარხუდაროვი**, და 8) **ალი ბეიდან კარაევი.**

(თავმჯდომარის ადგილს იჭერს **ნიკოლოზ ჩხეიძე**)

თავმჯდომარე. უნდა მოგაასენოთ, შემდეგი რომ წარსულ კრებაზე თქვენ დაადგინეთ. რომ ძველ სარეგლამენტო კომისიას გაერჩინება ის საკითხი, რომელიც თქვენ დააკისრეთ. იმ კომისიამ 2 ჯერ ვერ შეიყარა თავი. დღეს გავიმეორებ, რომ ეს საკითხი გახლავთ, რომელიც თქვენ დაავალეთ კომისიას. უნდა დაავალოთ, რომ განსაკუთრებულ ვალზე ეს საკითხი გასინჯონ და თავიანთი აზრი წარმოადგინონ. (რომერთი კვირის ვადა. გაბაშვილი 2 კვირისა).

თავმჯდომარე. ნება მიბოძეთ კენჭი უყარო. ვინ არის მომხრე, რომ ვადად ერთი კვირა დაედოთ? (უმრავლესობა) მაშასადამე კომისიას ვვალება, რომ ერთი კვირის განმავლობაში თავისი აზრით შემოვიდეს ამ ჩვენს პარლამენტში.

ესლა კრებას ვხურავ.

კრება დამთავრდა 2 ს. 50 წ.